ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში ალბანეთის თავმჯდომარეობის პრიორიტეტები

მ/წ 23 მაისს, სტრასბურგში გაიმართა მინისტრთა კომიტეტის 122-ე სესია ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, უილიამ ჰაგის თავმჯდომარეობით. ბრიტანეთმა დაასრულა ექვსთვიანი თავმჯდომარეობა, რომელიც მიმართული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემის გრძელვადიანი ეფექტურობის დაცვის საგარანტიოდ.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა ჰაგმა თავმჯდომარეობა გადასცა ალბანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრს ედმონდ ჰაქსინასტოს, რომელმაც შემდეგ წარმოადგინა საკუთარი ქვეყნის ექვსთვიანი თავმჯდომარეობის პრიორიტეტები.

იმისათვის, რომ დაიცვას და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის ღირებულებებს, ალბანეთი თავმჯდომარეობის პერიოდში კონცენტრირებას მოახდენს შემდეგ პრიორიტეტებზე:

1. *მდგრადი დემოკრატიული საზოგადოებების ხელშეწყობა;*
2. *ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის გაძლიერება;*
3. *კანონის უზენაესობის ხელშეწყობა ევროპაში;*
4. *ორგანიზაციის პოლიტიკური რეფორმის ხელშეწყობა;*
5. *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გრძელვადიანი ეფექტურობის გარანტია;*
6. *ადამიანის უფლებების ხელშეწყობის გარანტირება;*
7. *შიდა და საერთაშორისო ინსტიტუციონალური დიალოგის სტიმულირება.*

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.coe.int / www.coe.ge